№ 16. 24 აპრილს 1871 24 აპრილს № 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

თფილისში და გარეშე ადგილებში:

| | გაგზავნით | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთისს წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევარის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ერთის თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

## სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ვ. კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან გაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ-

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

### შინაარსი:

საქართველო: სასოფლო ბანკი დუშეთის მაზრაში.—რუსეთი:—წვრილი ამბები.—უცხო ქვეყნები: პატარა არეულობა ციურიხში („დროების“ კორრესპონდენცია), - საფრანგეთი.—დომბროვსკი და კლუზრე.—ამ კვირის ტელეგრამმები.—სამართალი (თ. მინგრელსკის და დ. ყიფიანის საქმე).

ფელეტონი: მადლობა და უმადურობა— ნ. სკანდელისა.

# საქართველო

## სასოფლო ბანკი დუშეთის მაზრაში

ჩვენ ნამდვილად და ზედმიწევნით შევიტყეთ, რომ დუშეთის მაზრაში აპირებენ სოფლის საგლეხო ბანკის გახსნასა. ამ ფრიად საკეთილო და კაცთ-მოყვარეობითს საქმეში პირველი მეთაურობა მიუღია დუშეთის მაზრის მმართველს, უფ. ზუბალოვს. ბანკისათვის ფული, რიცხვით ორას ხუთი თუმანი და რვა მანეთი, მზად არის. ეს ფული თითონ გლეხებისაა და ამ რიგად არის შემდგარი: 1868 წლიდამ 1871 წლამდე მთავრობას გადაუდია ყოველ წლივ სამოცდა რვა თუმანი და ექვსი მანეთი დასარიგებლად დუშეთის მაზრის გლეხთათვის, რომელთაც ჯარებისათვის შეშის ბეგარა გაუწევიათ. მეკომურნი, რომელნიც ამ ბეგარასა ჰსწევენ, რიცხვით 4714 არიან. უფალს ზუბალოვს დაუნახავს, რომ ზემოხსენებულის ფულის, (რომელიც შეადგენს ორას ხუთ თუმანს და რვა მანეთს), განაწილება მეკომურობაზედ გლეხთათვის დიდი არაფერი იქნება, იმიტომ რომ თითო მეკომურს ათს შაურზედ ცოტა მეტი შეხვდება. ამის გამო მოულაპარაკნია სოფლის მოხელე და სხვა პატივცემულ გლეხ-კაცებთანა და ურჩევია, რომ ეგ ორას ხუთი თუმანი და რვა მანეთი გადადონ სოფლის საგლეხო ბანკისთვისა. გლეხთა დიდის სიხარულით თურმე მიუღიათ ეს სამაგალითო რჩევა და დაჰპირებიან, რომ მაგ ფულის ბანკისათვის გადადებაზედ ყოვლის სოფლის საზოგადოებისაგან გადაწყვეტილობას შეადგენენ და წარმოუდგენენ.

ესე ყოველივე უფ. ზუბალოვმა ქაღალდით მოახსენა უფ. თფილისის გუბერნატორს და ჰსთხოვა საგლეხო ბანკის გახსნისათვის ნების დართვა. ამასთანავე მოახსენა რომ, რაკი მაგ ნების დართვას მიიღებს, მსწრაფლ შეუდგება ბანკის პროექტის შედგენასა. ჩვენ შევიტყეთ, რომ უ. თფილისის გუბერნატორს უბძანებია პროექტის შედგენა. ამბობენ რომ უფ. ზუბალოვი, რაკი შეადგენს პროექტს დაჰბეჭდავსო მას, რათა იგი პროექტი განხილულ იქმნას საზოგადოდ მცოდნე და ხალხის ვულშემა-ტკივარის კაცებისაგანაო. ამასაც ამბობენ, რომ უფ. დუშეთის მაზრის მიროვოი პოსრედნიკს აპსასარგებლო საქმის მონაწილეობა მიუღია მარტო იმითი, რომ უთხოვნია უფ. ზუბალოვისათვის, მაგ ბანკსა დროებით-ვალდებულ გლეხთა საზოგ დოებაზედ ნუ განავრცობო, რადგანაც მე თითონ ვაპირობ მაგსაგანზედ ჩემი წინადადებანი წარუდგინო უფ. თფილისის გუბერნატორსაო.

ძიდევ „მე, თუ შენ; შენ, თუ მე“—ორივ ერთად კი არაო!... ძიდევ გინხეთქილება!.. ღმერთო, როდის იქნება გადურჩეთ ამ მომაკვდინებელს სენსა!...

# რუსეთი

რუსულ გაზეთმა „კვირამ“ (Недѣля) მიიღო მმართებლობისაგან მესამე „გაფრთხილება“ და ამასთანავე ექვსის თვით აღკრძალვა. ეს აღკრძალვა და გაფრთხილება ამ გაზეთმა მიიღო იმისთვის,

„რომ ამ წლის მეცამეტე №-ში დაბეჭდა სტატია: „ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრება,“ —რომელშიაც სჯის მმართებლობისაგან აღკრძალულ სტუდენტების კასსაზე და კრებაზე და ამტკიცებს, რომ ესენი აუცილებლათ საჭირო იყვნენ სტუდენტებისთვისო; ამას გარდა ეს სტატია ამართლებს 1861 და 1869 წლის სტუდენტების არეულებას და ამბობს, რომ სტუდენტების ახლანდელი მდგომარეობა ძალიან ცუდი და შევიწროებული არისო, რომლითაც, ცხადია, ამ სტატიას ჰსურს უკმაყოფილება დასთესოს სტუდენტებშიო.“

* * *

„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ ამ დღეებში ზღვის სამინისტროს მმართველი, ღენ. ადიუტ. კრაბბე, გამოდის პეტერბურღიდამ და სამხრეთი რუსეთის ზღვის პორტები უნდა დაათვალიეროსო, სხვათა შორის ნიკოლაევში და კავკასიაში.

* * *

ყველა რუსულ გაზეთებში და განსაკუთრებით ოდესის გაზეთებში ძალიან დაწვრილებით არის აწერილი არეულობა, რომელიც აღდგომის პირველს, მეორესა და მესამე დღეს იყო ოდესაში. სხვათა შორის ოდესის ოფიციალური გაზეთი ამბობს, რომ ამისთანა არეულობა ყოველ წელიწადს არისო, მაგრამ ასე გაცხარებული და ამდენს ხანს 1859 წელს აქეთ არ ყოფილა ჯერაო. თითქმის ყველა დუქნები, მაღაზიები და სამიკიტნოები, რომელიც ურიებს ეკუთვნოდა, ისე გაცარცვეს და აარხრეს, რომ სრულიად არაფერი არ დაუტოვებიათ შიგაო. გაანჩხლებული ბერძნები და რუსები ამტვრევდნენ ყველა დუქნებს, რომლების ფანჯრებზე ჯვარცმა არა სჩანდა; არაყსა და ნავთს ღვრიდენ ქუჩებზე და მერე ცეცხლს უკიდებდენ. ამის გამო რამდონსამე სახლსაც ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ მალე დაუქვრიათ. ის უბნები, სადაც ურიები ცხოვრობდნენ, სულ მოდებული იყო ღინღლის ნისლით: დოშაკები და ბალიშები გამოჰქონდათ ურიების სახლებიდამ, სჭრიდნენ და იქით-აქეთ ისროდნენ. მებელს, ტანისამოსს, ერთი სიტყვით

# ფელეტონი

## მადლობა და უმადურობა

ფანტაზია *)

> Judicious punishment! 't was this flesh begot
> Those pelican daughters!
>
> (ჩინებული სასჯელია ამისთანა არამი შვილის შექმნისთვის.)
>
> შექსპირი.

„ერთი გლეხი მიდიოდა თურმე გაჭრილ შარაზე, და ზურგზედ ჯოხზე გადებული საგძალი მიჰქონდა. გზაზე შემოხვდა იმას ერთი დიდი და მაღალი ბუჩქი, რომელსაც ყველა მხრით ცეცხლი ეპრიალებოდა. ამ ბუჩქის წვერზე კვნესით იკლაკნებოდა ერთი ვაება გველი. თურმე იქაურ მცხოვრებლებს, რომელთაც ამ გველისგან სიცოცხლე გაჭირებული ჰქონდათ, დიდის ცდით და ტანჯვით მისთვის ედარაჯნათ, და რაკი ბუჩქზე გასული და დაძინებული ენახათ, ბუჩქისთვის ყველა მხრით ცეცხლი წაეკიდებიათ. გველი გამწარებულათ ჰსწიოდა, „ქრისტიანო, მიშველეო!“ მაგრამ, რასაკვირველია, იმას მშველელი არსაით უჩდებოდა. იხვეწებოდა გველი, ფიცით და ლოცვით პირდებოდა ოქროსა და თვალ-მარგალიტს, გაკეთებას იმას, ვინც ცეცხლიდგან დაიხსნიდა, მაგრამ მისი მტრები შორიდან ხალისით უძახდენ: „არც შენი გაკეთება გვინდა, არც შენი გესლიანობაო, წაგმწარდეს ჩვენი ამდენიხნის ცრემლი და ტანჯვაო!“

„მოგზაური გლეხი რომ ცეცხლ-წაკიდებულ ბუჩქს მიუახლოვდა, გველმა უფრო და უფრო შესაბრალებელი ხმით ვედრება დაუწყო: რაც შენ სულსა და გულს სურს, ყველაფერს გიშოვი და მოგცემო, უთხრა გველმა, ოღონდ კი ამ განსაცდელს ამაცილე და ცეცხლიდან დამიხსენიო. იფიქრა გლეხმა: ორმოცი წელიწადი დედა-მიწაზე დავწრიალობ, და ამ ორიოდე მჭადის მეტი არა მიშოვია რა, მოდი, ეხლა ეს გველი დავიხსნა, იქნება გავკეთდე კაციო. თვალ-მარგალიტიც ბევრი მექნება და სახელიც კარგიო, რადგანც ბიჭობა არ იქნება, ამ გვენა ცეცხლიდგან საწყალი გველი ამოვათრიოო. ამ აზრით გლეხი ბუჩქს მიუახლოვდა.

„იქაურმა მცხოვრებლებმა ეს რომ დაინახეს, მაშინვე გლეხს ხელი სტაცეს, „თავი დაანებე მაგ საქმესო, უთხრეს, ეს ჩვენი დამწველ-დამდაგველი იყო, აგვაოხრა, და ეხლა, ღვთის მადლით, გვეშველა როგორც იყო, ხელმეორეთ მაგის გაჭირვებაში ნულარ ჩაგვაგდებო. ჩვენი ცოლ-შვილის ცოდვაში ფეხს ნუ ჩაადგამო!“ მაგრამ ამაო იყო გლეხისთვის ეს ვედრება: იმას იმ ქვეყნის და იმ ხალხის ენა არ ესმოდა...

„რადგანც ბუჩქი მაღალი და ეკლიანი იყო, და ცეცხლი მეტის მეტათ ედებოდა, გლეხმა გველს თავისი ჯოხი მიუწვდინა, და გაცხარებულ მოქმედებაში ის კი არ გაიხსენა, რომ ჯოხზე თავის საგრძალი ჰქონდა წამოცმული. საგრძალი მაშინვე ცეცხლში ჩავარდა და დაიწვა, და თვითონ გლეხს გვარიანათ შემოეთხლიშა მისი საკუთარი ტანსაცმელი და ხელებიც დაუსისხლიანდა. მაგრამ, დიდი ცდით და ოსტატობით, გაბედვით და თავგამომეტებით, გლეხი, როგორც იქნა, თავის მიზანს მიუახლოვდა: გველმა რაკი ჯოხი დაინახა, მაშინვე ზედ შემოეხვია და გამჰყვა. ცეცხლმა გვარიანათ შეურუჯა იმას კანი, ცოტათი არ იყოს, ენაც წაუწვა, კუდიც მოგლიჯა და რქები და თვალები სულ ერთიანათ გაუმურა. მაგრამ, გველი მაინც ცოცხალი დარჩა, და გლეხის ჯოხიდან გლეხის მხარზე გაძვრა.

„გლეხს ეგონა, ესეს არის, გავკეთდი კაციო; ამ აზრით ის თავის დახსნილ გველს მოეფერა, გაწმინდა, გაბანა, თვალები მოურეცხა, რქები გაუფერა, კუდზე მალამო დაადვა, ერთი სიტყვით მოარჩინა, და ხელახლავ კისერზე ჩამოიკიდა, წავიყვან, იფიქრა, მოუვლი, მარჩენს და მასახელებსო.

„მაგრამ გლეხს ოცი ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, გველმა რაღაც ცმაცური დაიწყო. „დამწვარია, საწყალიო, იფიქრა გლეხმა, და იცმაცუროსო.“ სანამ ის ამას ფიქრობდა, გველი იმას კარგა მაგრა კისერზე შემოეხვია, და

*) მასაქეთია, რაც სწავლულებმა ხალხის ცხოვრებას და აზრს ყურადღება მიაქციეს და მისი რწმუნების, კოთხრობების ლექსების გამოკვლევას შეუდგენ, ვაცისთვის ძლიერ გაადვილდა იმ კანონების და გზის ცნობა, რომლითაც დაფუძნებულა კაცობრივი საზოგადოება. რადგანც ამ დაფუძნებაში, ბუნების გავლენას გარდა, ძლიერ დიდი ზედმოქმედება ჰქონია იმას, თუ როგორ და რა ნაირათ ესმოდა ბუნება და მისი მოვლენა კაცის ტვინს რა ნაირათ იბადებოდა კაცში სხვა და სხვა აზრი და, რწმუნება, ამ საგნის გამოკვლევას ისეთი მნიშვნელობა მიეცა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც ბუნების მეცნიერებას და პოლიტიკურ ეკონომიას. ესაა იმის მიზეზი, რომ ამ უკანასკნელ დროში ევროპიელი მეცნიერები მხურვალეთ იძიებენ ხალხის აზრს, მის წარსულ და ეხლანდელ მდგომარეობაში. ამ ძიებას განსაკუთრებით ეხმარება სხვა და სხვა ხალხების ენის, ცრუ-რწმუნებაების, ზღაპრების, ლეგენდების და ლექსების ერთმანეთთან შედარება, განხილვა და გარჩევა. ახალი სწავლულების შრომამ ამოაჩინა, რომ თითქმის ყველა ხალხებს ერთნაირი ლეგენდები და რწმუნებაები ჰქონიათ და ეხლაც აქვთ; განსხვავება თურმე მარტო სახელებში და ზოგიერთ წვრილმანებში ყოფილა. ინდოეთში და ესპანიაში, მაგალითად, ან სპარსეთში და ამერიკის ველურ მინდვრებში თურმე ერთნაირათ ისახება კაცის ტვინში ერთი და იგივე აზრი, ერთი და იგივე შედარება. ეს დამტკიცებულ, შეურყეველ კანონათ აქვთ მიღებული სწავლულებს. იმათში ეხლა დავა და ბრძოლა მარტო იმ კითხვაზეა,—ერთმა ხალხმა მოიგონა ყველა ას ზღაპრები, შედარება, აზრი, და მერმე სხვა ხალხებმა იმისგან გადიღეს, თუ სხვა და სხვა ხალხს, ცალცალკე, ერთი და იგივე მოვლენის ნახვის დროს, ერთნაირი წარმოდგენა და აზრი მოსვლიათ თავში? მაგალითად, ცისსარტყელას სხვა და სხვა ხალხი ერთნაირათ თავთავის ენაზე ცის ხიდს, სარტყელს ეძახის. გადმოვიღეთ ჩვენ, ქართველებმა, ეს აზრი (ესე იგი ის, რომ ბუნების მოვლენა, სინათლე, რომელიც ხანდისხან ცაზე სჩანს, სარტყელს ემსგავსება), რომელიმე ინდო-ევროპიელ ხალხისაგან, თუ ჩვენი საკუთარი ჭკუით მოვიგონეთ, და სხვა ხალხებმა ჩვენსავით თავიანთი გონებით შეადარეს ეს მოვლენა ცაზე შემორტყმულ სარტყელს ან ცაზე გადებულ ხიდს? ეს საგანი ჯერ-ჯერობით სადავოა.

სხვა და სხვა ხალხებს ერთნაირი ლეგენდები და ზღაპრები აქვთ. ამ ზღაპრების განხილვა ორნაირათაა შესაძლებელი მეცნიერებაში: 1) რა და რა წვრილმანი განსხვავება მიუცია სხვა და სხვა ხალხს ერთ და იმავე ზღაპრისთვის, რა და რა ნაირათ დაბადებულა და გაზდილა ეს ზღაპარი; და 2) ამ ზღაპრის უმთავრესი დედა აზრი რის გამოისობით საერთოა ყველა ხალხებისთვის, რას წარმოგვიდგენს ეს დედა აზრი და რა მიზეზით მიუღია იმას საქვეყნო მნიშვნელობა.

მე ავიღე ერთი ამ ნაირი ზღაპარი, და გავსინჯე იმ მხრით, რომელიც მის საქვეყნო მნიშვნელობას შეეხება. მე არ მიმიქცევია ყურადღება მისი ფილოლოგიურ წარმოებისათვის, ამიტომ რომ ეს მხარე საკმაოთ განხილულია იმ სწავლულების თხზულებაებში, რომელთაც დააფუძნეს ეს ახალი მეცნიერება. ვისაც ამ საგნის უფრო დაწვრილებული გამოკვლევა ჰსურს, იმას მე მივუთითებ ამ სწავლულების თხზულებებს. ამ საგანში თავი გამოიჩინა ადალბერტ კუნმა, თავის „Vergleichende Mythologie der indo-germanischen Völker,“ შვარცმა, თავის „Norddeutsche Sagen,“ მაქს მიულერმა, თავის „Vergleichende Mythologie“ და „The science of the languages“ და სხვ.

ნ. ს.

ყველაფერს რასაც კი დაინახავდენ ოთახში, ფანჯრებიდამ და კარებიდამ ისროდენ, ამტვრევდენ და ჰგლეჯდენ. „ნოვოროსიის ტელეგრაფში“ იწერებიან, რომ გაანჩხლებული ხალხი რიმდონსამე ალაგს ტანისამოსის მაღაზიებს დაეცათ, სრულებით გაარცვა და ზოგიერთები სამ-ოთხ ხელს ტანისამოსს იცვამდენ და ისე მირბოდენო.

ამ არეულობის დროს სულ სამ მილიონამდი ზიანი მისცემია ოდესის მცხოვრებლებს (რასაკვირველია, უმეტესს ნაწილათ ურიებს). ამ საქმის გასარჩევათ პეტერბურლიდამ მიდის კამისია. ახლა თითქმის 2,000 კაცია დაჭერილი. 8 კაცი მომკვდარა და ბევრი დაჭრილები და ძლიერ გალახულები საავათმყოფოში სწევან.

# უცხო ქვეყნები

## პატარა არეულობა ციურიხში.

„დროების“ კორრესპონდენცია.

ციურიხამდის თითქმის ექვსი საათის სავალი იყო კიდევ, ჩვენ რომ ჩამოგვემატენ ვაგონებში ფრანცუზის სალდათები, რომელნიც სედანის კატასტროფის დროს ყოფილიყვნენ დატყვევებულნი და ეხლა, როცა ომი გათავდა, ნემცებს თაიანთ სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ. ესენი ბავარიიდგან, მოდიოდნენ, სადაც დაეყოთ მთელი ხანი სედანის ომიდგან აქამომდე. შემოვიდენ თუ არა ვაგონებში, მაშინათვე, ჩემს გარდა, სხვანიც ბევრნი გამოჩნდნენ იმათი პირიდგან სედანის ომის ამბის გაგონების მსურველნი; შემოეხვიენ მათ და დაუწყეს ამბის კითხვა (ამ ზემო შვეიცარიაში ფრანცუზულის ენის მცოდნენი ბევრნი არიან). მე, თუმცა ცოტა მესმოდა მათის ბაასიდგან, ის მაინც გავიგონე, როგორის ნაღვლიანის სიტყვებითა სწყრდნენ ნაპოლეონის მაცდურობას, რა ნაირათ უმეტესი ბარგის ცხენები მის ბარგს უნდებოდა და სალდათები წელში წყდებოდენ სამხედრო მასალებისა და სურსათის ზიდვით, რა ნაირათ უმეტეს ჯარს თითონ თავს იხვევდა და საქმეს კი ცოტას აკეთებდა. ამ საგანზედ თითქმის ციურიხამდის არ გაუწყვეტიათ ბაასი. რაცა სტანციაზედ შეჩერდებოდა მაშინა, მაშინათვე ყოველ სალდათს თავის მასპინძელი გაუჩნდებოდა ხოლმე და ჩაუჯდებოდენ პივოს. ამ მასპინძლობაში უფრო ხშირად აქაური სალდათები ილებდნენ მონაწილეობას; ერთმა ამ ნაირათ დამეგობრებულმა შვეიცარიის სალდათმა, როცა გამოეთხოვა ერთ ფრანცუზის სალდათს ჩამოართვა ხელი და დიდხანს ელაპარაკებოდა ნემეცურად, რომელიც იმის მოსაუბრეს, როგორც ვატყობდი, სრულიად არ ესმოდა. ეს, მგონია, იმანაც შენიშნა და ფრანცუზულათ მოინდომა თავის სიტყვის გათავება; გაუჭირდა ძრიელ, მაგრამ, როგორც იყო წარმოსთქვა: servir la république („ემსახურე რესპუბლიკასო“, უნდოდა ეთქვა). ამ ორი სიტყვიდგან გაიგო თუ არა ფრანცუზმა—რასში მდგომარეობდა საქმე, სცადა ყოველის ღონისძიებით: ხელით, სახის გამოცვლით და სიტყვით, რომ გაეგებინებია თავის დამრიგებელისათვის, რომ ის თავს არ დაიზოგავს ამ საქმისათვის.

შვეიცარიის სალდათები ბლომათ იყვნენ ვაგონებში, მაგრამ მე, რასაკვირველია, არ ვიცოდი ამის მიზეზი. მაგრამ მალე კი გავიგე: ვაგონში შევნიშნე, რომ ერთ კუთხეში უფრო გაცხარებული ბაასი იყო ფრანცუზულ ენაზე; იქავ შევნიშნე, რომ მობაასეებთან ცარიელი ადგილი იყო და მაშინათვე მივაშურე იმ ადგილს. იმათი ლაპარაკისგან გავიგე, რომ ისინი უკანასკნელს პარიჟის არეულობაზედ ლაპარაკობდენ. ცოტა ხანს შემდეგ ერთმა რკინის გზაზედ მოსამსახურე პირთაგანმა უთხრა იმ ფრანცუზს, რომელსაც შვეიცარიელები ელაპარაკებოდნენ, რომ: „აი, ციურიხშიაც რევოლუცია მოახდინეს თქვენმა სალდათებმაო“, და ახლა ამ საგანზედ უფრო გაცხარებული ლაპარაკი და ბაასი შექნეს, რომლიდგან მე ბევრი ვერა გავიგე რა. მაგრამ მარტო ერთმა იმის გაგონებამ, რომ ციურიხში, სადაც ორ საათს შემდეგ უნდა მისულიყავი, ეხლა რევოლიუცია არისო, დიდ ალტაცებაში მომიყვანა:—რამდონიმე საათს უკან, ვფიქრობდი ჩემს გუნებაში, მე ვნახავ ერთ იმ რევოლიუციებთაგანს, რომელზედაც ჩვენ ასე ბევრი გვიკითხავს და გაგვიგონია და რომელიც ასე ცუდათ გვესმის; ექვსი დღე არ იყო რაც მე რუსეთის სამზღვარს გამოვცილდი და გამოვედი ზაგრანიცაში, როგორც ჩვენში ეძახიან დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებს, და ყოველი ფერი, რისიც ნახვა შემხვდა, გასაკვირველი იყო ჩემთვის და განსაკუთრებითი განმაცხოველებელი გავლენა ჰქონდა ჩემზედ.

ჩემდა სასიამოვნოდ, თუ სამწუხაროდ, (ამის გადაწყვეტა მკითხველისთვის მიმინდვია), იმდენი საქმის ნახვა არ შემხდომია, რამდენიც შეჰფეროდა ჩემს მოლოდინებას: სალამოს ექვსის ნახევარი იქნებოდა, როცა რკინის გზას მაშინა გაჩერდა ციურიხში. მე, რასაკვირველია, როგორც სხვანიც, გამოვედი ვაგონიდგან და, მივდევი თუ არა ჩემი პატარა ბარგი ოთახის კუთხეში, მაშინათვე გავედი ქუჩისაკენ და დავიწყე თვალიერება: არის რამე ამბავი აქ თუ არა, მეთქი. მეგონა, ათას წითელ ბაირაღებს მაინც დავინახავ და ამასთანავე, რასაკვირველია, თოფ-იარაღის ტრიალს. მაგრამ ესენი ვერაფერი ვერ შევნიშნე; ვიფიქრე, იქნება ცოტა რამე ამბავი იყო მეთქი, და ბევრს აქეთ-იქით ყურებას თავი დავანებე, ავიყვანე ერთი გზის მაჩვენებელი და წავედი ერთს ჩემს ამხანაგთან, რომელიც იმ დროს ციურიხში მეგულებოდა. ნახევარი საათის შემდეგ ჩემი ამხანაგიც ვნახე შევედი თუ არა იმასთან, პირველი ჩემი კითხვები აქაურს არეულობაზედ იყო. იმას ბევრი არ გაუგრძელებია, ისე გადაჭრით მითხრა: „რევოლუცია აქ არ არის, მაგრამ ცოტაოდენი არეულობა კი არის მუშა-ხალხშიო. ცოტა ხანს მოვისვენოთ და მერე ერთად წავიდეთ და ვნახოთ—რა ნაირი რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა არის ციურიხში, ჯერ მაინც ადრეა, ასე თერთმეტს თუ თორმეტს საათზედ იქნება, თუ რამე უნდათო. მეც გვარიანათ დაღალული ვიყავი და ცოტა დავიძინე.

ორი საათის შემდეგ ჩემმა ამხანაგმა გამომაღვიძა და წავედით ერთად ამბის გასაგებათ. საქმე ძრიელ დახლართული დაგვხვდა: თავი ხალხის გუნდი იდგა Rathaus'ის წინ, (სადაც ციურიხის კანტონის მმართებლობა არის); ამ სახლის მთელი ახლო-მახლო ქუჩები და ციურიხის ტბის ნაპირები ისე გატენილი იყო ხალხით, რომ გავლა არასაგზით არ შეიძლებოდა; ამის გამო ახლოს ვერსაით მივედით და შორიდგან, ცოტა მაღლობ ადგილზე დავდექით და იქიდამ დაუწყეთ ყურება. რამდენიც მოვახერხეთ ჩვენი ადგილიდგან დანახვა, შევნიშნეთ, რომ ყოველ ცოტათი მაღლა შესადგომ ადგილზედ იდგნენ ორატორები და ხალხს უხსნიდნენ (როგორც აგვიხსნეს) თავის ახლანდელს მდგომარეობას და მეორეს მხრით მოთანამდებო პირების უკანონოთ თავის მოვალეობის აღსრულებას.

სანამ ხალხი როტლაუზის წინ იყო გაჩერებული, მანამ ამ ორატორების ქადაგებეებისა და პატრიოტული სიმღერაების მეტი არა ყოფილა რა ხალხის მხრით; მმართებლობისგან კი საშუალება იყო ნახმარი: ჯერ მთელ როტლაუზს ირგვლივ ქვეითი ჯარი შემოარტყეს, მერე კიდევ ამ ხალხით გატენილ ქუჩებზედ, თითქო არავინ ყოფილიყოს, სამოცამდის ცხენოსანი ჯარის კაცი დააქანებდა იქით-აქეთ ცხენებს; ამით უნდოდათ, რომ ხალხის გუნდები დაეფანტათ; მაგრამ ხალხი თითქმის ყურსაც არ უგდებდა სალდათების ცხენის ქენებას. ამ ნაირ ადგილზედ ცხენზედ ჯარჯიშობა, რასაკვირველია, კეთილს არას მოიტანდა, და მართლადაც ამ სალამოს ხ უ თ ი კაცი ისე გადაჯეგეს ცხენებით, რომ არც ერთს მეორე დილა აღარ გათენებია. ამ ნაირმა საქმემ ხალხი მოთმინებისაგან გამოიყვანა და ნაშუაღამევის ორი საათი იქნებოდა, როდესაც დაიძრა ხალხი და წაიდა იმ სახლისაკენ, სადაც წინა დღეებში დატუსაღებულები ისხდნენ. ეს სახლი ოთხ ეტაჟიანია; როცა ხალხი მიადგა იმას, ყველა ეტაჟების ფანჯრები უეცრათ დაიღო და ყველადგან თოფიანი სალდათები გადმოდგენ სასროლათ. ხალხს აქ დი-

---

რაც ძალა ჰქონდა ყანყრატოში წაუჭირა. დაავდო საწყალმა გლეხმა ვიხარომათი: მიშველეთ, გველმა ჩემი სიკეთე არ დაიმახსოვრა, იწვებოდა ეგ ოხერი, ჩემს იქით გზა და შველა არსაით ჰქონდა, უნდა დაღუპულიყო, მე ცეცხლს და დაწვას გადავარჩინე, გავბანე, ვუპატრონე, სული ჩაუდგი, და ეხლა თვითონ მე მარჩობს, ეს უმადურიო!“

+

ამ ნაირი ზღაპარი საერთოა ძლიერ ბევრი ხალხებისთვის. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგან გველის მაგიერათ გამოხატულია კროკოდილი, ზოგან მორიელი და ზოგან სხვა მავნებელი ცხოველი. აზრი კი ყველგან ერთია: კაცს მავნებელი ცხოველის შველა უნდოდა, უშველა, მაგრამ თვითონვე დაისაჯა, და მერმე მთელ ქვეყანას შესჩივის, უსამართლობა მომივიდაო, უმადური დამრჩენ ჩემი ღვაწლისთვისო.

რას ვპოვებთ ჩვენ ამ საუცხოვო ზღაპარში, რომელიც გამოუგონია ხალხის მეცნიერ და გამჭრიახ გონებას?

∓

თავდაპირველათ, ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხი-კაცის შრომა და მოხერხება მიმართულია უსამართლო, სავნებელ საქმეზე.—რასაკვირველია, გველის ბედი შესაბრალებელია, როცა ის შეუწყალებლათ იწვის გვენა ცეცხლში, და ჩვენი გულკეთილობა არ შეიძლება რომ არ შესწუხდეს ტანჯვის ცქერით, ვინც უნდა იტანჯებოდეს. მაგრამ კაცზე გავლენა მარტო გულკეთილობას კი არ უნდა ჰქონდეს. კაცისთვის ღმერთს, გულს გარდა, გონებაც მიუცია. ეს გონება გვიჩვენებს ჩვენ, რომ იმ აშკარა ტანჯვას, რომელიც გამოითქმება გველის წივილში და კლაკვნაში, გვერდით უდგია ათასი და ათი ათასი კაცის ტანჯვა და ცრემლი, რომელიც თუმც ხმამაღლა ბასრი წივილით და კლაკვნით არ გამოითქმის, მაგრამ მაინც გულის დამდაგველი და აღმშფოთებელია. ჩვენი გონება გვეუბნება კიდევ, რომ გველის დახსნას და შველას მალე, ძლიერ მალე მოსდევს ადამიანების გაჭირვება და ჩუმი კვნესა, მაშასადამე, ჩვენ გულკეთილობას ამ საქმეში სულ სხვანაირი, გონიერი მიმართულება უნდა მიეცეს...

∓

ჩვენ ვხედავთ, კიდევ, რომ გლეხის შრომა ცუდათ არის მიმართული. ყოველი შრომა იმითია წმინდა და სასახელო, რომ იმას ნაყოფათ ვისიმე სიკეთე და შველა მოსდევს. მაგრამ, როცა ერთი სულის სიკეთეს და შველას ათასი სულის დაჩაგვრა და შეწუხება მოყვება, აქ ანგარიში ადვილია, და ეს უბრალო ანგარიში გვიჩვენებს, რომ ამ ნაირ შრომას, ვისიმე სიკეთე და შველა კი არა, ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი სულის გაჭირვება მოუყვანია. მაშასადამე, გლეხის საქციელში საფუძვლათ არც გულ-კეთილობა, არც ნამდვილი, პატიოსანი შრომაა.

∓

მართალია, გლეხმა იფიქრა: გველი რაკი ჩემ სიკეთეს დაინახავს, მაშინვე გამაკეთებსო. მაშასადამე გლეხს იმის იმედი ჰქონდა, რომ საშინელი განსაცდელი და გაჭირვება, რომელიც გველს ცეცხლმა მიაყენა, მის ბუნებას შეცვლიდა, ავ-კაცობას დაავიწყებინებდა და ხეირიან კაცად გამოიყვანდა ქვეყანაში.—გაკეთილ-კაცებული გველი ბუნების სიმდიდრეს უჩვენებდა გლეხს, და იმ თვალ-მარგალიტს, რომელიც სადმე მიწაში ჩაფლული უნდა იყოს, თვითონ გლეხს მისცემდა, სასარგებლოთ. გლეხი კი ამ სიმდიდრეს თავის და ქვეყნის სახეიროთ გამოიყენებდა.

ზღაპარს ძლიერ კარგათ წარმოუდგენია ეს ანგარიშიც და მისი სიფუჭეც. ხალხის მეცნიერება ამ ზღაპრით გვიჩვენებს, რომ ყოველ სულდგმულს, ყოველ არსებას თავისი საკუთარი ბუნება აქვს, რომელიც იმას საფლავამდი მისდევს და შვილის შვილობამდი გადაეცემა. ეს ბუნება ყოველთვის ცხოვრებაში გამოითქმება, და ამ სულიერის ყოველ მოქმედებას მისი ბუნების და ხასიათის ბეჭედი აქვს დასმული. ყველაფრით შეუძლებელია, რომ სულიერმა თავისი ბუნება მიატოვოს და სხვისას აყვეს: „არ ჩვევია წყერი ხესა, არ შეჯდება გვარი მისი,“ ამბობს ამ საგანზე ყველა ხალხების ანდაზა.

+

მაშასადამე, გლეხმა რომ გველი გაჭირვებაში დაინახა, იმას პირველათვე უნდა ეკითხა თავის თავისთვის, რა ბუნება და თვისება აქვს გველს და რისი მიღება შეუძლია იმას შემდეგში? გლეხს რომ ეს კითხვა გახსენებოდა, ის მაშინვე მიხვდებოდა, რომ გველის ბუნება საბრალო ცხოველების და ადამიანის დაგესვლაში მდგომარეობს, რომ იმას ეს ბუნება არ შეეცვლება, სანამ პირში ის კბილები აბია, რომლის ღძილებში მომაკვდინებელი გესლი მზადდება... მაშასადამე, სანამ გველი ცოცხალია და პირში გესლიანი კბილები აქვს, მისი ბუნება დაგესვლას თხოულობს, სწორეთ ისე, როგორც ჩვენი ფილტვი ჰაერის სთქვას და ჩვენი სტომაკი საჭმელს თხოულობს...

+

აქედან სჩანს, რომ გლეხს კარგა უნდა გახსენებოდა გველის ბუნების თვისება, და თავის თავი არ უნდა მოეტყუებინა შემცდარი აზრით, თითქო შესაძლებელია ცხოველისთვის თავის ბუნების მიტოვება და სხვისი თვისების მიღება. ხალხის მეცნიერება ამბობს ამ საგანზე: „გველის კუდს ათასი ჭახრაკიც რომ მოუჭირო, მაინც არ გასწორდებაო.“ ეს გონიერი ანდაზა არ უნდა დავიწყებოდა იმ გლეხს, როცა ის გველის წივილს ყურს უგდებდა.

+

რა გინდ სიმდიდრე ჰქონდეს ან ეგულებოდეს გველს, ბუნება მისი ყოველთვის ებრძვის ყველა ცხოველებს და ყოველნაირ საზოგადოებას; მისი იმას ბუნება ყოველთვის მიიზიდავს იმ მავნებელ ცხოველებისკენ, რომელთაც მისსავით გესლი აქვთ, იმ ნაირი გესლი, რომელიც გესლიან სულდგმულს არ ავნებს. ერთმანერთში გველები ყოველთვის კარგათ ცხოვრებენ. არც ერთ მეცნიერს არ შეუნიშნავს ჯერ, და არც ერთ მოხერხებულ კაცს არ მიუღწევია იქამდი, რომ გველი გადმოებიროს და სხვა, უფრო სავნებელ გველებზე მისი გესლი ეხმაროს... ზველი მუდამ გველს უძმობს, და მასზე დანდობილი კაცი მუდამ მოტყუვებული დარჩება...

+

მაშ, პირველ შემთხვევაში, გლეხი ამაოდ ენდო თავის გულკეთილებას, იმან ფუჭეთ დახარჯა თავისი შრომა, საბოლოოთ ის მოტყუებულიც დარჩა თავის იმედში; მისი მოქმედება იყო უანგარიშო, ბრიყვული და შემცდარი.—ამას გვიჩვენებს ჩვენ ზემოხსენებული ზღაპრის განხილვა ერთის მხრით. გადავიდეთ ეხლა მისი მეორე მხრის გამოკვლევაში.

#

რაკი გლეხი მოტყუებული დარჩა თავის იმედში, რაკი იმან დაინახა, რომ გველმა, თა-

დი აღარ უბაასია: როცა დაინახა, რომ იმას არამც თუ სატუსაღოში, ახლოსაც ძნელათ უშვებენ, იპოვეს სადღაცა ერთი დიდი ხის მორი, დაიჭირეს ხელში და სატუსაღოს კარებს დაუწყეს ცემა; კარებმა ბევრი ველარ შეიძლო და ჩაიმტვრა; ჩამოცვინდა თუ არა კარების ფიცრები, შიგნი ოთახიდგან სალდათები მოაღგნენ და დაუწყეს სროლა ხალხს; ამასთანავე გამართეს სროლა ზედა ფანჯრებიდგანაცა....

საშინელი სანახავი წარმოუდგებოდა კაცს ამ მინუტში: როცა ზედა ფანჯრებიდგან დაანთებდა თოფის-წამალი და ერთ-ხმათ ხუთასექვსასი თოფი მაინც გავარდებოდა, საშინელი, საზარელი ქრიანტელი გაუვლიდა კაცს ტანში; იფიქრებდა, რომ ამ მინუტში ოთხასსამასი კაცი, თუ მეტი არა, მაინც უნდა დაეცეს მიწაზედ უსულოთ, და ასე გულ-გრილათ კი ისროდენ ზევიდგან ძირს მდგომ ძმა-ხალხს. მაგრამ როგორც კაცს ეგონებოდა, ეს თოფის სროლა ისე საშიში არ იყო: თურმე სალდათებს ცარიელი წამლით ჰქონოდათ გატენილი თოფები და იმიტომ გამართეს ასე გახურებული სროლა მარტო ხალხის შესაშინებლათ. მაგრამ, ზოგიერთი კაცობრიულ გრძნობა მოკლებული კაცის წყალობით, საქმე უსიკვდილოთ არ გათავდა: როგორც მეორე დღეს გამოჩნდა, ზოგიერთ სალდათს (მდიდარი ოჯახებიდგან გამოსულს) ტყვიით გატენილიც ესროლათ და ამის გამო ამ საღამოს ექვსი კაცი მოკლეს და თუთხმეტი დაჭრეს.

რასაკვირველია, რომ უთოფო ხალხი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა თოფ-იარაღიან სალდათებს და გათენების ჟამს ისინი თავ-თავის სახლში დაბრუნდენ. მეორე დღეს ხალხს აღარც თავი მოუყრია და აღარც სხვა ნაირივ გამოუცხადებია თავის უკმაყოფილება; შესწირა თითქმის ოცამდის კაცის სიცოცხლე და დაბრუნდა უკან ისევ ისე დაღონებული და უკმაყოფილო. მაგრამ მმართებლობას მაინც არ მოუსვენია: დილის ათის საათიდგან დაწყებული შუაღამის სამ საათამდის, არ შეხერებულა ცხენოსანი ჯარის იქით-აქეთ ტრიალი და სადაც საეჭო ადგილი იყო, აუარებელი ქვეითი ჯარი იყო დაყენებული, თუმცა ოც კაცს ერთათ ვერსად დაინახავდი. ამ ქვეითი ჯარის საქმე სასაცილო იყო: ღამის თორმეტ საათამდის როგორც იყო რიგიანათ იყვნენ და მერე ზოგს კუთხეში მიეძინა, ზოგმა პატარ-პატარა წრეები შეადგინეს და სიმღერა გამართეს, სანამდის ესეც არ მოსწყინდათ, და მერმე რაღაც ბედათ საქმეც გამოუჩნდათ: ნაშუაღამევის სამს საათზედ სადღაც ქალაქის ბოლოზედ ცეცხლი გაუჩნდა ერთ სახლს და მთელი ეს ჯარი იქ წავიდა, ზოგი გარს შემოარტყეს და ზოგი საქრობლათ მიუშვეს; ხალხი ბლომათ იყო, მაგრამ სახლი მაინც ვერ გადაარჩინეს.

ჯარის სიმრავლე მართლა აკვირვებდა აქაურებს; საზოგადოთ შვეიცარიაში ჯარი სულ არსად არა დგას ქალაქებში და, ამ არეულობის დროს კი, როგორც ამბობდენ, აქ მოიყარა თავი ხუთ ათასმა კაცმა. მაგრამ მაშინაც რა გააკეთეს? დახოცეს ოციოდე თავის თანამემამულეებთაგანი და დაბრუნდნენ სახლში.—

ეს პატარა რევოლიუცია სამი დღის დაწყებული იყო, როცა მე მოვედი ციურიხში, და იმის მოთავე აქ მყოფი ფრანცუზის სალდათები იყვნენ. ბურბაკის ჯარიდგან 5 ათასი ციურიხში იყო დაბინავებული (მათში 400 აფიცერი და ერთი ღენერალი). ციურიხი დიდი ქალაქი არ არის და ამათი დაბინავება ისე გასჭირვებოდა, რომ ერთი დიდი ეკკლესია დაეცალა ამათთვის. პირველი მიზეზი არეულობისა იყო შემდეგი გარემოება: პრუსიელების გამარჯვების თაობაზედ, აქაურ ნემცების პროფესორებს მოინდომებიათ დღესასწაულობა, დღეც დაენიშნათ (ცხრა მარტი—აქაურის ანგარიშით) და ამ დღისათვის, როგორც რიგია, ისე მოემზადებიათ ყველაფერი; სხვათა შორის ჯარიც დაემზადებიათ, თითქო წინდაწინ მოელოდნენ არეულობას. ცერემონია უნდა გადაეხადათ დიდს დარბაზში, რომელსაც Tonhal Pavillon ჰქვია. საღამოს, ცხრა საათზედ, გამართულიყო დღესასწაული. ნემცების წესით და მერმეთ პროფესორების—ლხინი ისე როგორ შეიძლება, რომ რამდონიმე შ ე ს ხ მ ა მაინც არ წარმოითქვას! პირველად დაეწყო თავის ქების შესხმა გერმანიის ნაციისადმი ს ლ ი ც ე ნ ი უ ზ ს, აქაურს ქიმიის პროფესორს და, რაღა კითხვა უნდა, მთელი შესხმა იმას ამტკიცებდა, რომ ნემცები ყოველთვის და ყველგან განათლებაში და პროგრესში წინა-მავალი ხალხი იყო, არის და იქნებაო და სხვა ამნაირი...... ამის შემდეგ მოჰყოლოდა თავის უგზო-უკვლო ნემცების შესხმას ავტორი „Комедія всемірной исторіи"-სა, შერრი, რომელიც ამ თავის თხზულებაში ისე ცხარე ლიბერალათ აჩენს თავის-თავს, შეუბრალებლათ ჰკიცხავს ნაპოლეონსა და მეტენრიხს და ბისმარკის გამარჯვებას კი დღესასწაულობს და რომელიც ამნაირ ისტორიულ შემთხვევაებს, როგორც ახლანდელი ომი, კამედიას ეძახის, და ერთ ამ კამედიათაგანს კი ახლა დღესასწაულობდა; ასე რომ ამ სწავლულმა ცხდათ აჩვენა ყველას, რომ შეიძლება სწავლული კაცი თავის მეცნიერებაში ძრიელ ლიბერალი იყოს და ცხოვრებაში კი ისეთ რასმეებს უნთებდეს სანთელს, რომელიც სრულიად არ შეეთანხმებ იმის აზრებსა და საზოგადოთ არც ერთ კაცობრიულ გრძნობას. როგორც თითონ მოიქცა ეს პატიოსანი სწავლული, ისე ციურიხელები დახვდენ მას: დაიწყეს თუარა მოდღესასწაულეებმა თავის შესხმაების წარმოთქმა, გარედგან ხალხმა, რომელიც ურიცხვათ იყო მოგროვილი ამ სახლთან, დაუწყო ქვის შენა ამ სახლს და რახანც ფანჯრებს გარდა თითქმის მთელი ზედა ნახევარი ეტაჟა მინისა აქვს ამ სახლს, ამისთვის სალხინო ზალაში ჩაცვინევა არ უძნელდებოდა ნასროლ ქვებს... ქვების სროლა ერთობ გახშირდა თურმე შერრის შესხმის წარმოთქმის დროს და ამასთანავე ქვების სიმსხომაც იმატა; ამ დროსვე მეორე ხალხის ნაწილმა მოიყარა თავი ერთ სასტუმროში, რომელიც ამ სალხინო ზალას ზედ ეკრა და რიგიანი კრივი გამართა. ბატონმა შერრმა რა დაინახა, რომ მარტო მისი სამითვის წინეთ დაწერილი შესხმით არ თავდებოდა საქმე, გაპარვა იკადრა... ამ კრივს იქამდის მიეწია, რომ სამი კაცი აქვე დაუტოვებიათ მკვდარი და დაჭრილი ბევრი დაბრუნებულიყო სახლში. ეს ხელ-ჩარეული ჩხუბი თითქმის შუაღამის ოთხ საათამდის გაგრძელებულიყო და, სანამ ჯარს არ გაეზავებია, ვერაფერი ვერ მოეხერხებინათ. ამ შემთხვევაში უმთავრესი მონაწილეობა მიეღო დატყვევებულ ფრანცუზებს, მაგრამ შემდგომ არეულობაში ისინი თითქმის სრულიად არ გარეულან. მუშა-ხალხს ესარგებლა ამ შემთხვევით და თავის საჭიროების თხოვნა დაეწყო მმართებლობისთვის, რომელმანც ორი წლის წინეთ, მათ დიდი იმედი მისცა იმის მდგომარეობის გაუმჯობესობისა. ხალხს მით უფრო მოდიოდა გული, რომ ამ დღესასწაულისათვის მზადების დროს, არაერთგზით გამოეცხადებია იმას, რომ ამნაირი დღესასწაულობა ციურიხში არ უნდა იყოსო და საზოგადო სურვილი არისო, რომ ნება არ მიეცეთ ნემცებს აქ დღესასწაულობისაო; ფრანცუზები ამ შემთხვევაში, როგორც ზევით ვსთქვი, იმ პირველ საღამოს გარდა, არაფერში დანაშაული არ იყვნენ, მაგრამ მაინც ყველაფერი იმათ დააბრალეს და თითქმის ყოველ გაზეთში წაიკითხავდით, რომ ფრანცუზების ტყვეებმა ააბუნტეს ციურიხიო.

ეს პატარა არეულობა ამ ნაირათ მოხდა. ახლა, როგორც ყოველ ამ ნაირ შემთხვევაში მოხდება ხოლმე, არის დანაშაული კამისია, რომელმანც უნდა გამოიძიოს—თუ რა მიზეზი იყო ამ ხალხის არეულობისა. ჯერ კი მმართებლობის მხრით არავითარი განცხადება არ არის იმაზედ, თუ რა გამოიკვლია ამ საქმის შესახებ; მაგრამ, როგორც მცოდნე პირებიდგან გავიგე, ცდილობენ, რომ ფრანცუზების სალდათებს გარდა ყველანი გამართლებულნი დარჩნენ. მაგრამ ამასთან ისიც უნდა მოგახსენო, მკითხველნო, არსაიდამ არ ისმის და არც არავინ მოელის, რომ ვინმე დაახრჩონ და ან დახვრეტით ან დაკარგვით დასაჯონ... *)

ჟენევა
1871 წელსა
5/17 მარტსა

გ. ჯ.

*) გაზეთებში იწერებიან ახლა ციურიხიდამ, რომ ოთხი ფრანცუზი, რომელთაც არეულობის ატეხას აბრალებდენ, სამი თვით ჩაუჯდენიათ საპყრობილეში, დანარჩენი ბრალდებულები კი ყველა გაუთავისუფლებიათ.

რედ.

---

ვის ბუნებას ხელი მიჰყო და წარჩობა მოუნდომა, იმან ვიხარომათი შექნა, „მიშველეთ უსამართლობისგანო, შეხედეთ უმადურობასო!"

ვის ეუბნება გლეხი ამ სიტყვებს, ვის მიმართავს ის ამ ხვეწნას?

უეჭველია, იმ ხალხს, რომელიც იმას გარშემო ახვევია, ესე იგი იმას, რომელიც გველისგან შეწუხებული იყო და გველს დაწვას უპირებდა.

მაგრამ, ანგარიშია, გლეხის მხრით, ამ ხალხისკენ მიმართვა? სამართლიანობის მეძიებელს ნება აქვს განა უსამართლოთ მოქცევის? და სამართლიანობა თუ ახსოვს გლეხს, რატომ არ იხსენებს, რომ კაცმა იმ პირს აღარ უნდა მიმართოს, რომელმაც უწინ თვითონ იმას მიმართა, მაგრამ დაუკმაყოფილებელი დარჩა? თუ გლეხმა შეწუხებული ხალხი არ შეიბრალა, როცა ის გველის თავისდანებებას თხოვდა, რის გულისთვის უნდა შეიბრალოს თვითონ ის იმ ხალხმა, რომელიც მასზე გულნაკლული დარჩა? თუ იმას ამ ხალხის ენა არ ესმოდა, მისი გულის წვა არ აწუხებდა, მისი გველისგან ტანჯვა არ აშინებდა,—რის იმედით ილებს ის ხმას, რა აზრით ფიქრობს, რომ ხალხი მის ენას გაიგებს, მისი გულის დაწვით შეწუხდება და მისი ტანჯვით მორბილდება?—რატომ ჩუმათ, ხმა ამოუღებლათ არ სვამს გლეხი თავისი შეცდომის სიმწარეს, რათ არ ეუბნება ის ხალხს უკანასკნელ სიტყვას, ისეთს, რომ საიქიოს წყევლა-კრულვა არ წაიტანოს, რატომ არ ითხოვს შენდობას და მიტოვებას: „დანაშაული ვარო, თქვენი ცოლშვილის ცოდვაში ფეხი ჩავადგი, მაგრამ, მომიტევეთ, ძმანო, ხომ ხედავთ, ჩემი საკუთარი სისხლით ვხოცავ მე ჩემ დანაშაულობას და თქვენთანვე პირველი ვიტანჯებიო?"

+

მაჭირებაში ჩავარდნილ გლეხს ეს პატიოსანი სიტყვები რომ ეთქვა იმ სოფლის ცხოვრებლებისთვის, ბევრი დანაშაულობა მიეტევებოდა იმას და არავინ არ ჩაატანდა იმას საფლავში შეურაცხყოფის და ლანძღვის სიტყვას. მაგრამ ის სულ სხვა ნაირათ მოქმედებს. ამ სიტყვების მაგივრათ, ის ტრაბახობს: „აი, რა მარჯვეთ ვუშველე მე გველს, როგორი თავგამომეტებით ჩავლუპე ცეცხლში ჩემი საკუთარი საგრძალი, როგორ დავისისხლიანე ხელები, როგორ მოვარჩინე გველი, როგორ გაუწმინდე და გაუფერე კბილები და რქებიო...."

+

ზღაპარი ამ სიტყვებით ერთ ახალ მხარეს გვიხსნის: გლეხისთვის მართლა ძნელი საქმე იყო გველის დახსნა, მართლა ძვირათ დაუჯდა იმას ეს შრომა. მაგრამ, რაც უფრო ძნელი იყო მისთვის გველის ცეცხლიდგან დახსნა, რაც უფრო მეტი ხერხი სჭიროდა ამ საქმეს, რაც უფრო მეტი თავგამომეტება უნდა გამოეჩინა გლეხს, მით უფრო და უფრო საძრახისია მისი საქციელი და მით უფრო უსაფუძვლოა მისი გოდება. როცა ცუდ საქმეს ხელს კიდებს მოუხერხებელი, უხეირო და უნიჭო კაცი, ცუდი საქმე იმას სისრულეში ვერ მოჰყავს, ან თუ მოჰყავს, მახინჯათ და უგვაროთ. მაგრამ, როცა ცუდ საქმეს ალევს კაცი ნიჭს და ცოდნას, როცა კაცის გონების და ხასიათის ღონე და ძალა მიმართულია ცუდ და სავნებელ მიზნისკენ, მაშინ საზოგადო ვნება და ზარალი ერთი ათასად უფრო ძლიერდება, დიდდება. და რაც უფრო დიდია საზოგადო ვნება, მით უფრო მეტი ძრახვის ღირსია ის ნიჭი და გონება, რომლის შრომას მოუტანია ეს მწარე და დამღუპველი ნაყოფი....

+

ზღაპარი ამ უგვარ საქციელს მშვენიერათ აგვირგვინებს. ის გამოგვიხატავს ჩვენ პირდაღებულ გლეხს, შრომა და იმედ დაკარგულს, შებრალების მეძიებელს, და უკანასკნელ სიტყვათ ათქმევინებს: დიხედეთ უმადურობასო. ვის უნდა დახსოვნოდა მადლობა და სიკეთეს? გველს? მაგრამ რისთვის? იმისთვის, რომ გლეხმა ის დაწვას გადაარჩინა და უწინდელურათ ადამიანის ენების შეძლება მისცა, ესე იგი იმისთვის, რომ ცეცხლიდგან ამოიყვანა, და ქვეყანაზე გველის ხელობის საქნელათ გაუშვა. რაში მდგომარეობს გველის ხელობა? დაგესვლაში, წარჩობაში. გველმა თავის ხელობას ხელი მიჰყო, იმ საქმეს მიუბრუნდა, რომლისთვის აუშვა ის გლეხმა. რა გასაკვირველია, რომ გველმა თავის ხელობა პირველათვე იმაზე გამოიჩინა, ვინც იმასთან ყველაზე უფრო ახლო იდგა? იდგა გლეხი, და გველმა პირველათ იმას წაუჭირა ყელში;—ეს საქმე ძლიერ უბრალო და ხშირი საქმეა.

+

მაგრამ, იტყვიან, გლეხმა იმიტომ კი არ გაათავისუფლა გველი, მევე წამარჩვეო. გლეხმა თავისუფლება მისცა გველს სხვებზე დაეკმაყოფილება მისი ბუნება, და არა თვითონ გლეხზეო. ვგონებ, თვითონ გლეხს რომ ვკითხოთ, ისიც ვერ გამოტყდება, რომ ამისთანა უღვთო და უკაცური პირობა დაედოს თავის სასარგებლოთ, და თუ იმას ეს სახეში ჰქონია, თუკი თავის საკუთარი სარგებლობისთვის მთელი სოფლის მცხოვრებლები არ დაუნდვია და არ დაუზოგავს, ახლა იმაზე გველის საქციელი: სხვისთვის ორმოს ამომთხრელი თვითონვე ვარდება ორმოში. მაშ გველი ამ შემთხვევაში უმადური კი არა, სამართლიანი ყოფილა.

+

ამას გვასწავლის ეს ზღაპარი, ყველა ხალხებში გავრცელებული მასაქეთია, რაც ქვეყანა არსებობს. ამ ზღაპრით ყველა ხალხების და მთელი ქვეყნის მეცნიერება ერთი ხმით და ხმამაღლა გვიყვირის: ცუდი საქმის მომხდენი შებრალების ღირსი არ არის, რაგინდ უბედურ მდგომარეობაში იყოს ის ჩავარდნილი.—ამ ნაირათვე ღირსი არ არის შებრალებისა და თანაგრძნობის ისიც, ვინც იცავს და შველის ცუდ საქმის მომხდენს....

ეს დედა-აზრი შეუნიშნავს და ზღაპრათ გამოუთქვამს ათასნაირ ხალხს ათასნაირ გარემოებებში. და ამ ზღაპარში ერთი შენიშვნაც არ არის, რომელიც ყოველგან და ყოველთვის კანონათ მისაღები არ იყოს კაცის მოქმედებაში და ცხოვრებაში, რაგინდ მცირე ან დიდი იყოს ის გარემოება, რომელსაც შეეხება ეს შენიშვნები.

ნ. სკანდელი

9 აპრილს 1871
თფილისი

## საფრანგეთი

საფრანგეთიდამ მოსული ამბები გვატყობინებენ, რომ განხეთქილება პარიჟის კომმუნასა და ვერსალის მმართებლობას შუა ჯერაც არ გათავებულა. წინაალმდეგ ამისა, რამდონმეჯერ გაცხარებულმა ბრძოლამ და ორივე მხრით ერთმანეთის წინაალმდეგ სასტიკმა მოქმედებამ ისე გააბრაზა პარიჟის აჯანყებულები, რომ ამ უკანასკნელ დროს იმათ გამოაცხადეს, რომ „ან მოვკვდებით, ან ჩვენ სურვილს და მოთხოვნილებას აუსრულებთო.“ მართალია, აჯანყებულებმა ამ ბოლოს დროსაც გამოაცხადეს მორიგების სურვილი და სისხლის ღვრის შეწყვეტა, მაგრამ მშვიდობიანობა მაინც არ ჩამოვარდა, რადგან ტიერმა უთხრა იმათ, რომ მმართებლობა ვერ აასრულებს პარიჟელების მორიგების პირობებსაო. „რესპუბლიკის ლიგის „დეპუტაცია 1 აპრილს ყოფილა ვერსალში მორიგების პირობებზე მოსალაპარაკებლათ. აი, რა უთქვამს იმისთვის ტიერს: „თავდებათა ვარ, რომ, სანამ მე ვიქნები პრეზიდენტათ, რესპუბლიკა არ მოიშლება საფრანგეთში. რაც შეეხება იმას, რომ პარიჟს განსაკუთრებული უფლებები უნდა მიენიჭოსო, ეს შეუძლებელი საქმეა: პარიჟს ექნება მხოლოთ ის უფლებები, ის შინაური საქმეების გამგეობის წესი, რაც საფრანგეთის სხვა ქალაქებსა ექნება. ნაციონალურ გვარდიას მივცემთ თავის უფროსების ამორჩევის ნებას, მაგრამ შეუძლებელია, რომ პარიჟის დაცვა მარტო იმას ჰქონდეს მინდობილი.“ ამას გარდა ტიერმა დაჰპირდა აჯანყებულებს, ვინც თოფ-იარაღს დაჰყრის, იმას მმართებლობა აპატიებს ყოველ დანაშაულობასაო. ეს პასუხი პარიჟის „ლიგის“ დეპუტატებმა მეორე დღეს გადაცეს კომმუნას. ეს მორიგებაზე მოლაპარაკება კომმუნის ყველა სალაროს გაზეთებში დაბეჭდილი იყო და ყველანი ჰკიცხავდენ ვერსალის მმართებლობას. სხვათა შორის ერთს კომმუნის გაზეთში აი რა სწერია ამაზე: “საზოგადოთ, როგორც სჩანს, ტიერს 300,000 ფრანცუზის მოკვლა ურჩევნია, ვიდრე პარიჟს მუნიციპალური უფლებები მისცეს. ჩვენ კი, ჩვენ პარიჟის კარებთან სიკვდილს ვამჯობინებთ, და იმ წესს კი არ დაუმორჩილდებით, რომლითაც ჩვენს პარიჟში ხელახლავ დაიწყება ქალაქის სერჟანტებისა და პოლიციის შპიონების მეფობა.„—ერთ თვეზე მეტია, რაც ეს საშინელი ბრძოლაა საფრაგეთში—მუშა-ხალხსა და ბურჟუაზულ მმართებლობას შუა და, თუმცა ვერსალის ნაციონალურმა კრებამ თავიდგანვე გამოაცხადა, რომ პარიჟის არეულობა რაც შეიძლება მალე უნდა დავამშვიდობოთო და იქაური აჯანყებულები სასტიკათ უნდა დავსაჯოთო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერაც ვერ ასრულეს ეს თავის დაპირება და საფიქრებელია, რომ ვერც ამ მოკლე ხანში აასრულებენ, რადგან იმათ 74 ათასი ჯარის მეტი არა ჰყავთ თოფ-ქვეშ. მართალია, ვერსალიდამ მუდამ იწერებიან, რომ ახალი ჯარი ბრუნდება გერმანიიდამ და როცა ამნაირათ საკმაო ძალა გვეყოლება, მაშინ ერთბაშათ დავეცემით პარიჟს და დავიმორჩილებთო, მაგრამ დღემდი, თუმცა ბევრჯელ ჰქონდათ შეტაკება, მაგრამ უმეტეს ნაწილათ აჯანყებულები არიან გამარჯვებულები. ვერსალის მმართებლობას რომ თადარიგიანათ წაეყვანა საქმე, აჯანყებულების დამორჩილება, როგორც სჩანს, ძალიან ადვილი საქმეა, რადგან იმათ არც საკმაო თოფ-იარაღი და არც წესიერება აქვთ თურმე.

— ვერსალის მომქმედს ჯარის წინამძღოლათ მაკ-მაჰონი დაუნიშნავთ, იმის თანაშემწეთ დაუყენებიათ სამი ღენერალი: ლამირო, სისსე და ბარალი. მორიგი (რეზერვი) ჯარის უფროსათ ვინუა არის.

— აჯანყებულებსა და ვერსალის ჯარს შუა შეტაკება ყველაზე უფრო ხშირათ სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით არის. განსაკუთრებით ჩრდილოეთით, ანიერთან და კურბევუასთან, რამდონმეჯერ ჰქონდათ გაცხარებული ბრძოლა დომბროვსკისა (ინსურგენტების უფროსს) და ლამიროს. დომბროვსკიმ, როგორც გაზეთებში სწერენ, პირველათ რამდონმეჯერ დაამარცხა ვერსალის ჯარი, მაგრამ უკანასკნელი ცნობები ვერსალიდამ გვატყობინებენ, რომ ანიერთან დაუმარცხებიათ ინსურგენტები და ეს პატარა ქალაქი წაურთმევიათ იმათთვის. სამხრეთით, ინსურგენტების მხრით, მოქმედობს ღენერალი კლუზრე და ედი, რომელნიც გამაგრებულნი არიან ვანვრის, ბისეტრის და ისსის ფორტებში. ამ ფორტებს ძალიან ხშირათ ეცემიან მმართებლობის ჯარები, მაგრამ თითქმის ყოველთვის ამარცხებენ იმათ და ისევ უკან აბრუნებენ, რადგან აქ კარგი არტილერია (ზარბაზნები და მიტრალიეზები) აქვთ ინსურგენტებს გამართული. უკანასკნელი ტელეგრამმა კი გვაცნობებს, რომ მმართებლობის ჯარს დიდი ზიანი მიუცია ისსის ფორტისათვის და ამის გამო კომმუნას თავის ჯარი გამოუყვანია ამ ფორტიდამ და ზარბაზნებიც გამოუტანია. — საზოგადოთ უკანასკნელი კვირის გაზეთებსა და ტელეგრამმებს მმართებლობის გამარჯვების ამბები მოაქვს და თუ შემდეგშიაც ასე წაიყვანეს საქმე, მაშინ, უეჭველია, ისინი მოიგებენ; მაშინ საფრანგეთში, მონარხიული მმართებლობა თუ არა, ბურჟუაზია მაინც მაგრათ მოიდგამს ფეხს და დამკვიდრდება....

— ზოგიერთს ფრანცუზულს და ინგლისურს გაზეთებში სწერენ, რომ პარიჟის აჯანყებულები საშინელ უწესოებას სჩადიან, სცარცვენ და მტაციობლობენო. სხვათა შორის ერთს ინგლისურს გაზეთში აწერილია, რომ კომმუნის ბრძანებით რამოდენიმე სამღვდელო პირი დაატუსაღეს, ეკკლესიები დაკეტეს და რაც ვერცხლეულობა და ოქროულობა იყო შიგ, სულ გამოიტანესო. ამას გარდა კომმუნას აბრალებენ, ვითომ იმას კერძო პირების (სხვათა შორის ტიერის), ქონება მიეთვისოს. აი როგორი განცხადება მიუკრავს კომმუნის პოლიციის კამისარს წმ. პეტრეს ეკკლესიის კარებზე, რომელიც ჩაუკეტია:“

„მივიღებ რა მხედველობაში, რომ ჩვენი მღვდლები უზნეო ხალხია და ეკკლესიები ისეთი ბუდე, . . . . . . . . . . . . რომელმანც საფრანგეთი ბონაპარტებს, ფავრებს და ტროშუებს ჩაუგდო ხელში,—მე, სამოქალაქო პოლიციის დელეგატი, ვაცხადებ, რომ წმ. პეტრეს ეკკლესია დაკეტილი უნდა იყოს და იქაური მღვდლები უნდა დატუსაღდნენ. პარიჟი 16 (4) აპრილის.“

პასკალ გრუსე, კომმუნის გარეშე საქმეების დელეგატი, აი რას იწერება ყველა ამისთანა ხმებზე:

„რაც ეკკლესიებში და სამინისტროებში ვერცხლისა და ოქროს ნივთები ვნახეთ, გადასადნობათ და ფულის ჩამოსასხმათ გავგზავნეთ, რომელიც, უეჭველია, ამ გაჭირების დროს ძალიან გამოადგება საფრანგეთს ვაჭრობისა და შრომის წარმატებისათვის. ამნაირათ პარიჟმა მხოლოთ გადაასხვაფერა თავის ქონების ფორმა. ამის გამო არავის არ შეუძლიან სთქვას, რომ პარიჟს არა ჰქონდა უფლება თავის საკუთრება საზოგადო სარგებლობისთვის მოეხმარა.“

— ამას წინათ სწერდენ, რომ ნემცებს საფრანგეთის შინაურულ საქმეებში გარევა უნდოდათო, მაგრამ ტიერს მიეწერა ბისმარკისთვის, რომ თქვენ თუ ჩვენ საქმეებში გაერიეთ, მე იმწამსვე პრეზიდენტობას თავს დავანებებო. ამის შემდეგ ნემცები აღარ გაერიენ პარიჟის არეულობის საქმეში, მაგრამ ბისმარკმა კი სთქვა თურმე, რომ ინსურგენტებმა თუ გაიმარჯვეს, 200,000 კაცს მივაყენებ პარიჟს და დავამშვიდებ არეულობასაო. აქ ამბებს წინეთ სწერდენ, ახლა კი პრუსიის ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია სტატია, რომელიც გვაცნობებს, რომ ყველა ეს ხმები ტყუილიაო.

— პარიჟიდამ ერთს ძლიერ შესანიშნავს ამბავს იწერებიან: კომმუნა აპირებს თურმე ხელახლავ დაიწყოს მუშაობა იმ ფაბრიკებში და ქარხნებში, რომელნიც შეჩერებულნი არიან, რადგან იმათი პატრონები, არეულობის გამო, გაქცეულან პარიჟიდამ. შესანიშნავი ამ საქმეში ის არის, რომ კომმუნის განკარგულებით, ეს ფაბრიკები და ქარხნები, ცალკე პირებს კი არა, მუშების ასსოციაციებს (საზოგადოებას) მიეცემათ, რომელთაც უნდა მოიყვანონ ისინი მოქმედებაში და აწარმოონ რაც იმ ფაბრიკებში კეთდება. ამ ქარხნებისა და ფაბრიკების ნამდვილ პატრონებს კი კომმუნა უზღავს იმათ ქონების ფასს.

— ვერსალის კორრესპონდენტი ერთი ინგლისური გაზეთისა იწერება, რომ აქაური ნაციონალური კრება ძალიან უკმაყოფილოთ არის ტიერზე და ჟულ-ფავრზეო და, დაამშვიდებენ თუ არა პარიჟის არეულობას, იმ წამსვე ამ მმართებლობის პირებს გამოცვლას უპირებსო. ნაციონალური კრების უმეტეს ნაწილს მონარხიის დაწესება ჰსურს საფრანგეთში და კიდეც დაადგენს, თუ პარიჟის დამშვიდების შემდეგ იმას დარჩა ხელში საფრანგეთის გამგეობაო.

— აპრილის 14-ს (2-ს) ღენერალმა კლუზრემ წარუდგინა კომმუნას რაპორტი, რომელშიაც ამბობს, რომ ვანვრისა და მონრუჟის (სამხრეთის) ფორტები დავათვალიერე და ძლიერ კარგ მდგომარეობაში არიანო. მონ-ვალერიანის პირდაპირ, მონ-მარტრის მაღლობზე, ზარბაზნები გავმართე, რომელნიც დიდ ზიანს აძლევენ იმ ფორტში გამაგრებულ ვერსალის ჯარსაო. ვანვრისა და მონრუჟის პირდაპირ ისე დგანან ვერსალის ჯარები, როგორც ამას წინეთ პრუსიელები იდგნენო, მაგრამ ეს ახალი ჩვენი მტრის ჯარები ნემცებსავით თადარიგიანი და გამძლე არ არიან და ამიტომ იმედია, ისინი ვერ გაუმაგრდებიან ჩვენ ნაციონალურ გვარდიელებსაო.

— მარსელში არეულობა ხომ მოსპეს; აპრილის 8-ს ყველა ნაციონალური გვარდიელებისთვის ჩამოურთმევიათ თოფ-იარაღი, რომ შემდეგში არ შეეძლოთ აჯანყება.

## დომბროვსკი და კლუზრე.

დომბროვსკი და კლუზრე ახლანდელი აჯანყებულების არმიის წინამძღოლელები არიან; იმათ სახელს ხშირათ შეხვდებიან გაზეთში ჩვენი მკითხველები, სანამ პარიჟის არეულობა რითიმე არ გათავდება, და ამიტომ მოგვყავს აქ ამ ორი ღენერლის მოკლე ბიოგრაფია.

დომბროვსკი პოლშელია. 1863 წელს, როდესაც პოლშაში არეულობა იყო, ის იყო ამორჩეული იქაური აჯანყებულების მოთავეთ და რამდონიმე თვის განმავლობაში თავის მომხრეებით ებრძოდა რუსის ჯარებს. ბოლოს ის დაიჭირეს, მაგრამ საპყრობილიდგან გაიქცა 1864 წ. და მას აქეთია პარიჟში ცხოვრებს. ამ ჟამად ის პარიჟის კამენდანტათ ამოირჩიეს და ვერსალის ჯარს ებრძვის; მაგრამ, როგორც სჩანს, ინსურგენტებს არ მოეწონათ თურმე იმის დანიშვნა, რადგან უცხო ქვეყნელია. ამის გამო კომმუნამ შემდეგი პროკლამაცია გამოსცა:

„მოქალაქენო! ჩვენ გავიგეთ, რომ ნაციონალურ გვარდიას არ მოეწონა, რომ უცხო ქვეყნელი მოქალაქე, დომბროვსკი, პარიჟის კომენდანტათ დავნიშნეთ. მართალია, ის პოლშელია. მაგრამ 1863 წ. ის რამდონიმე თვის განმავლობაში ებრძოდა რუსის ჯარს. ამას გარდა იმ გამოცდილებას და სამხედრო საქმის ცოდნას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ რამდონიმე ხანს მსახურობდა ღენერლათ გარიბალდისთან, რომელიც დიდ პატივსა სცემს ჩვენ ახლანდელ კამენდანტს. დომბროვსკი იყო აგრეთვე გარეული კავკასიაში სამხედრო საქმეებში. ყველა ეს ამტკიცებს, რომ ის კარგი მეომარი და ნამდვილი რესპუბლიკელია.“

კლუზრეზე ერთ ფრანცუზულ გაზეთში შემდეგი ცნობებია მოყვანილი: პირველათ ის მსახურებდა ფრანცუზის ჯარში აფიცრათ, მერე გარიბალდისთან ერთათ ებრძოდა თავისუფლების მტრებს და ბოლოს წავიდა ჩრდილოეთ ამერიკაში; იქ ბევრ სამხედრო საქმეებში გამოიჩინა თავი და მიიღო ღენერლის ჩინი. ამერიკის ურთიერთშორისი ომის გათავების შემდეგ, ნიუ-იორკის შტატმა მიანდვა იმას დასავლეთ ევროპაში წასვლა და იქაური სამხედრო საქმეების გაცნობა. კლუზრე მოვიდა ლონდონში და აქ, რადგან ოფიციალური პირი იყო, გაიგო ინგლისის მმართებლობის პლანები ირლანდიის ფენიების დასამშვიდებლათ; დაბრუნდა ამერიკაში და იმ დროს ფენიები დაეცნენ კანადას, მაგრამ ვერა გაარიგეს რა. შემდეგ ის დაბრუნდა საფრანგეთში და უკანასკნელ არეულობამდი საზოგადო საქმეებში არ გარეულა. ახლა კლუზრე კამუნის სამხედრო მინისტრის თანამდებობას ასრულებს.

---

### ამ კვირის ტელეგრამმები

პარიჟი, 18 აპრილს. ისსის ფორტიდამ ზარბაზნებს აღარ ისვრიან; კომმუნამ ჯარები გამოიყვანა იქიდამ.

— კომმუნამ მოსთხოვა რკინის გზის საზოგადოებას სამი მილიონი ფრანკი.

ვერსალი, 20 აპრილს. ძალიან დაზიანებული ისსის ფორტი ვერსალის მმართებლობას დაემორჩილა კაპიტულაციით.

პარიჟი. ბულვარებზე დიდი არეულობაა; ფედერალისტები ჰყვირიან, რომ—გვიღალატესო.

---

# სამართალი

## უფ. დიმიტრი ყიფიანის და თ. მინგრელსკის საქმე

თფილისის ოლქის სასამართლოში *)

აპრილის ცხრას თფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა შესანიშნავი საქმე, რომელიც ატყდა თ. ნ. მინგრელსკის (მყოფი სამეგრელოს მთავრის, დადიანის) თხოვნით. თ. მინგრელსკიმ თავისი ვექილის, უფ. პოლტარაცკის, პირით შესჩივლა თფილისის ოლქის სასამართლოს, რომ უფ. დიმიტრი ყიფიანს გადაახდევინეთ თორმეტი ათას ორას ოთხმოცდა ექვსი თუმანი შვიდი მანეთი და თოთხმეტი კაპეიკი (112,967 მ. 14 კ.), რომელიც იმას აპეკუნათ ყოფნის დროს შეურჩენიაო. ვექილები ამტკიცებდენ, რომ რვა წლის განმავლობაში, 1859 წლიდამ დაწყებული 1867 მდი, უფ. ყიფიანს თავისი მმართვის ანგარიში არ წარუდგენია, და მთელი ანგარიში ერთათ მარტო 1868 ში ჩააბარა თ. მინგრელსკის, მაგრამ მაშინაც შემოსავალ-გასავლის წიგნები არ წარუდგენია, ისე რომ თ. მინგრელსკის ანგარიშის გაჩხრეკა უძნელდებაო. წარდგენილ ანგარიშშიაც თ. მინგრელსკის, როგორც მისი ვექილები ამტკიცებდენ, ზოგიერთი მომეტებული ხარჯი უპოვნიათ; სხვათა შორის, მაგალითად, უფ. ყიფიანს ორიათას თუმანზე მეტი დაუხარჯავს, და ანგარიშში ჩაუწერია, „დახარჯა საიდუმლოთ, აპეკის სასარგებლოთ“, პარიჟში ყოფნის დროს ოთხ თვეში ექვსასი თუმანი მეტი დაუხარჯავს, ათას შვიდასი თუმანი ვალათ გაუციაო და სხვ. და სხვ. ამ ანგარიშით თ. მინგრელსკის ვექილები უფ. ყიფიანის გამტყუნებას, ფულის და სამართლის ხარჯის გადახდევინებას თხოულობდენ.

სასამართლოში მეპასუხეთ გამოცხადდა თვითონ უფ. ყიფიანი, რომელმაც თავდა პირველათ გაახსენა სასამართლოს, რა ნაირ გარემოებაში დაინიშნა ის აპეკუნათ, რა მდგომარეობაში ჩაიბარა სამეგრელოს მთავრის მამული და რა მდგომარეობაში ჩააბარა ის, რვა წლის შემდეგ თ. მინგრელსკის.

უფ. ყიფიანი დაუნიშნავთ სამეგრელოს მთავრის მამულის მმართველათ და აპეკუნათ 1859 წ., როცა დავით დადიანის შვილი, ეხლანდელი თ. მინგრელსკი, მცირე-წლოვანი იყო და თავის დედითურთ სცხოვრებდა პეტერბურღს.—როცა 1857 ში სამეგრელოში რუსეთის მმართვა დაწესდა, მთავრის სიმართლეები და საკუთრება სრულიად არ იყო შემოსაზღვრული. რაც უწინ მთავრის უკეთესს შემოსავალს შეადგენდა, ბაზრების ხარჯი, ბილეთების ფული, სანავო, საჩარვადრო, საანკესო და სხვ., მთავრის სახლს ერთბაშათ მოესპო; ამ სახლს ყველა მხრით დავა უტყდებოდა მიწაწყლის, მთების და ტყეების საკუთრებაზე. ახალგაზდა მთავრის დედა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით უმთავრეს აპეკუნათ ითვლებოდა, უფ. ყიფიანს სწერდა პეტერბურღიდგან, მისი ოპეკუნათ დანიშვნის დროს, რომ შარშანდელ ანგარიშით მთავრის მამულებიდგან ნაღდათ დარჩენილა მარტო ოცდა შვიდი თუმანიო.

უფ. ყიფიანი ამტკიცებს, რომ თავის მმართვით და მოხერხებით იმან ეს დაცემული მამული ისეთ მდგომარეობამდი მიიყვანა, რომ უკანასკნელ წლებში შვიდიათას თუმანზე მეტი შემოაქვს წელიწადშიო. მე დიდი შრომა გავწიე ამ საქმეზეო, ამბობს უფ. ყიფიანი. თავდაპირველათ მე უსიამოვნება მომიხდა ქუთაისის ღენერალ-ღუბერნატორთან, მერე, როცა უმთავრესი მმართვის აზრს არ დავეთანხმე მთავრის მამულის სარგებლობისთვის, მე დავკარგე ჩემი ადგილი, რომელიც წელიწადში ხუთას თუმანზე მეტს მაძლევდაო. დაწვრილებით მოჰყავს უფ. ყიფიანს იმის დამტკიცებები, რომ უფროსი აპეკუნი, რომელსაც კანონი და უმაღლესი ბრძანება სრულ ნებას აძლევდა ანგარიშის გაწმენდის და ფულის დახარჯვისას,—ესე იგი თ. მინგრელსკის დედა, კნ. ეკატერინე დადიანისა, უფ. ყიფიანს ბარათებით სრულ თავის ნდობას და მადლობას უცხადებდა, და სრულ ნებას აძლევდა შემოსავლის დახარჯვაში.—„სჯობს სრულიად დაიღუპოს მთელი მამული, სწერდა თურმე უფ. ყიფიანსა მინგრელსკის დედა, მინემ იმას თქვენი მმართვა მოკლდესო“. — მართლაც, როგორც ახლა უფ. ყიფიანი ამბობს, მე დავიფარე ეს მამული და მის სიმართლეები სრულიად დავიცევ, როგორც ამ მამულის სარგებლობას მოუხდებოდაო.—და იმ მრავალი პროცესებიდან, რომელიც ატეხილი ჰქონდა ამ მამულს, მე არც ერთი არ წამიგია, და ბევრი კი მოვიგეო...

ერთი სიტყვით უფ. ყიფიანი ამტკიცებდა, რომ ის თავთავ ის დროზე ურდგენდა ანგარიშს უმთავრესს აპეკუნს—კნ. ეკ. დადიანისას, თუ რასმე თვითონ იღებდა ან ხარჯავდა, სულ ყველაფერზედ ამ აპეკუნის ნება-რთვა ჰქონდა, და მისი მოქმედება სრულიად მოწონებული იყო კნ. დადიანისაგან.— მაშასადამე რადგანც კანონის ძალით, მე მარტო კნ. დიდიანისა უნდა მყოლოდა უფროსად, მის ბრძანება უნდა ამესრულებინა, და ანგარიში მისთვის უნდა ჩამებარებინა, ვთხოვ სასამართლოს თ. მინგრელსკის თხოვნაზე უარი უყოს და გადაახდევინოს სამართლის ხარჯიც ჩემ სასარგებლოთო.

ოლქის სასამართლომ მოისმინა ეს საქმე და გადაწყვიტა თ. მინგრელსკის თხოვნაზე უარის თქმა და უფ. ყიფიანის სასარგებლოთ სამართლის ხარჯის გადახდევინება. ამ საგანზე აი რას ამბობს ის ბროშურა, რომლიდგანაც ჩვენ ეს გარემოებები გამოვკრიბეთ:

„თ. მინგრელსკის მამულზე ათი წლის განმავლობაში აპეკა იყო გამართული; მაგრამ არც სრულ-წლოვანობამდი, არც სრულ წლოვანობის შემდეგ, თვითონ იმას აპეკისგან არაფერი რგებია. რაიქნა მისი ფული? ის ეძებს ამ ფულს, მაგრამ იქ კი არა, სადაც უნდა ეძებდეს. აპეკუნმა ამ პროცესში ნათლათ, გადუხვევლათ მიათითა იმ ადგილს, რომლისკენ უნდა მიემართათ საძიებელი ფულისთვის: უმთავრეს აპეკუნს (კნ. დადიანისას) მინიჭებული ჰქონდა სრული უფლება აპეკუნის მოქმედების და ანგარიშის გასინჯვისა, და ოპეკუნმა, რაც რამე დარჩა, უმთავრეს აპეკუნს გადასცა. ეს გარემოება აღმოაჩინა პროცესმა, თუმცა არცერთ მოდავე მხარეს სრულიადაც არ ნდომია მისი შეხება.“

---

*) ეს ცნობები გამოკრებულია ერთი პატარა ბროშურიდგან, რომელიც ამ მოკლე ხანში გამოვიდა თფილისში, რუსულ ენაზე, სახელათ: „Засѣданіе Тифлисскаго окружнаго суда 9 Апрѣля 1871, по дѣлу кн. Мингрельскаго съ д. с. с. Дм. Кипіани о 112,967 р 14 к.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Апрѣля 1871 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.